ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ფლექს პოლისი

| დაფარული რისკები | პრო | მაქსი |
|---|---|---|
| ოჯახის ექიმის მომსახურება (კლინიკა კურაციოში) | 100%, ულიმიტო | 100%, ულიმიტო |
| კლინიკა „კურაციოში“ მომსახურებები<br>(გარდა მაღალტექნოლოგიური კვლევებისა) | 80%, ულიმიტო | 50%, ულიმიტო |
| გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება | 20%, 5000 ლარი | 20%, 3000 ლარი |
| გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება | 100%, ულიმიტო | 100%, ულიმიტო |
| დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურება | 20%, 3000 ლარი | 20%, 2000 ლარი |
| გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება | 20%, 3000 ლარი | 20%, 2000 ლარი |
| Mso | ერთჯერადად | ერთჯერადად |
| სამოგზაურო დაზღვევა | 2 კვირა | 1 კვირა |
| მენტალური ჯანმრთელობა | 25%-მდე<br>ფასდაკლება | 25%-მდე<br>ფასდაკლება |
| უბედური შემთხვევისას კომპენსაცია<br>(მუდმივი სრული შრომისუუნარობა) | 10000 ლარი | 5000 ლარი |
| ონკო ქეარი - კიბოს რისკისგან დაზღვევა | 100%<br>25 000 ლარი | 100%<br>12 000 ლარი |
| გადაუდებელი სტომატოლოგია | 100% ულიმიტო | 100% ულიმიტო |
| გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება,<br>ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურება,<br>ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება,<br>დენტალური იმპლანტაციური მომსახურება<br>პროვაიდერ კლინიკებში | 10-დან 50%-მდე | 10-დან 50%-მდე |
| დამატებითი ბენეფიტები:<br>აუზები, ფიტნესი, რეაბილიტაცია | 40%-მდე<br>ფასდაკლება | 40%-მდე<br>ფასდაკლება |
| პრემია ყოველთვიური გადახდისას | 28 ლარი | 22 ლარი |

## 1. ზოგადი განმარტებები

**1.1.** **მზღვეველი -** სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი", პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.

**1.2.** **დამზღვევი -** პირი, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშკრულებას.

**1.3.** **დაზღვეული -** 18-დან 25 წლის ჩათვლით ასაკის საქართველოს მოქალაქე, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევა და რომელიც არის დაზღვევის შეძენის მომენტისთვის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო სტუდენტური დაზღვევა ან პირი რომელიც არის 18-დან 25 წლის ჩათვლით ასაკის საქართველოს მოქალაქე, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევა და რომელიც არ არის სტუდენტური სტატუსის მქონე.

**1.4.** **სადაზღვევო ხელშეკრულება/პოლისი** - წინამდებარე ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ და მისი დანართები, ცვლილებები, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოხსენიებულია ერთობლივად, როგორც ხელშეკრულება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ცალკე უნდა მიეთითოს ხელშეკრულებაზე/დანართზე.

**1.5.** **სადაზღვევო პრემია (შენატანი)** - დამზღვევის მიერ დაზღვეულის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პოლისის წლიური ღირებულება, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს პოლისში მითითებული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

**1.6.** **ლიმიტი** -სადაზღვევო პოლისში/ წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული კონკრეტული მომსახურების ანაზღაურების მაქსიმალური წლიური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები. მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა იწვევს ლიმიტის შემცირებას მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.

**1.7.** **სადაზღვევო შემთხვევა** - წინამდებარე პოლისით/დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული და მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევად აღიარებული შემთხვევები, რომელთა დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება პოლისის/დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**1.8.** **სადაზღვევო ანაზღაურება** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ პოლისის/დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოსარგებლისთვის გადასახდელი თანხა.

**1.9.** **მოცდის პერიოდი** _ პერიოდი, რომელიც აითვლება სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან და რომლის განმავლობაშიც დაზღვეულს/მოსარგებლეს მზღვეველის მიერ არ აუნაზღაურდება არანაირი მომსახურების ხარჯები ან კონკრეტული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**1.10.** **დაფარვა** – სადაზღვევო პოლისში/დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული სამედიცინო მომსახურების ღირებულების პროცენტული წილი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

**1.11.** **თანაგადახდა** - სამედიცინო მომსახურების მთლიანი ღირებულების დაზღვეულის მიერ გადასახდელი ნაწილი.

**1.12.** **სამედიცინო კონტრაქტორი** - სამედიცინო დაწესებულება და შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მქონე პირი (ექიმი/სპეციალისტი), რომელიც მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მის მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე დაზღვეულებს გაუწევს შესაბამის სამედიცინო დახმარებას და რომელთანაც მზღვეველი ახორციელებს პირდაპირ ანგარიშსწორებას სადაზღვევო პოლისით/დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებისა და პირობების მიხედვით. კონტრაქტორი კლინიკების ჩამონათვალი მოცემულია ვებ-გვერდზე: www.gpih.ge

**1.13.** **პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულება** - სამედიცინო დაწესებულებები, სადაც სამედიცინო მომსახურებები ფინანსდება სახელმწიფო, მუნიციპალური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ანდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებიდან;

**1.14.** **მოსარგებლე –** დაზღვეული, სამედიცინო დაწესებულება ან ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

**1.15.** **გეოგრაფიული ლიმიტი** - დაზღვევის მოქმედების გეოგრაფიული არეალი. წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

**1.16.** **საწოლ/დღე** – ჰოსპიტალური (სტაციონარული) ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო მომსახურება პაციენტის ღამისთევით დაყოვნებისას.

**1.17.** **პალატა:**

**1.17.1.** **სტანდარტული პალატა -** პალატა, რომლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სრულად უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისის სრული მოცულობით მიწოდებას.

**1.17.2.** **არასტანდარტული პალატა -** ინდივიდუალური კომფორტის მიზნით გაუმჯობესებული პალატა.

**1.17.3.** **რეანიმაციული პალატა -** პალატა, რომლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სრულად უზრუნველყოფს რეანიმაციული ღონიძიებების სრული მოცულობით მიწოდებას.

**1.18.** **სადაზღვევო პერიოდი** – დროის შუალედი, რომელშიც მოქმედებს დაზღვევა. მზღვეველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ანაზღაურდება ამ პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე.

**1.19.** **სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა** - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სადაზღვევო პოლისი არის ძალაში და მოქმედების ვადა არის ერთი წელი.

**1.20.** **უბედური შემთხვევა** – დაზღვეულისაგან დამოუკიდებელი, თვალსაჩინო გარე ძალების ზემოქმედებით მომხდარი გაუთვალისწინებელი და უეცარი შემთხვევა, დამდგარი სადაზღვევო პოლისით/დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის მუდმივი სრული შეზღუდვა ან დაკარგვა;

## 2. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას

1) პირი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე დიაგნოსტირებული აქვს შემდეგი დაავადებები ან/და იმყოფება დიაგნოსტირების ან მკურნალობის პროცესში: სიმსივნე, კიბო, ლეიკემია, ლიმფომა, კანის პათოლოგიური ცვლილება ან ხალების ნებისმიერი ფორმა, რომელსაც ახლავს სისხლდენა, ტკივილი, ფერის შეცვლა ან ზომის მომატება.

2) მსხვილი ნაწლავის პოლიპოზი, ნაწლავის ანთება (კრონის დაავადება ან წყლლოვანი კოლოტი), თირკმლის პოლიკისტოზი, სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებები, აზბესტოზი, B, C, D, E ფორმის ჰეპატიტი, ანღვიძლის ციროზის რომელიმე ფორმა.

3) პირი, რომელიც უკვე დაზღვეულია ინდივიდუალური ან საოჯახო ონკო ქეარით. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია გააუქმოს ერთ-ერთი დაზღვევა ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მხოლოდ ერთი პოლისის ფარგლებში ანაზღაურება (მიუხედავად იმისა, გადახდილი აქვს თუ არა რამდენიმე პოლისის პრემია).

4) დაზღვევას არ ექვემდებარებიან დაზღვევის მომენტში ჰოსპიტალურ მკურნალობაზე მყოფი პირები, მწოლიარე პაციენტები, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაადგილება ან/და სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.

## 3. ზოგადი პირობები

**3.1.** დაზღვევის ძალაში შესვლა:

**3.1.1.** დაზღვევის ძალაში შესვლისა და ხელშეკრულების გაფორმების თარიღები აისახება ხელშეკრულება/პოლისში.

**3.1.2.** დაზღვევა მოქმედებს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. დაზღვევის ამოქმედების აუცილებელი პირობაა პირველი ან/და მორიგი საპრემიო შენატანის დროული და სრული მოცულობით გადახდა. პირველადი პრემიის გადახდა ხორციელდება სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე სულ მცირე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე.

## 3.2. ძირითადი დებულება

**3.2.1.** ჯანმრთლობის დაზღვევის პოლისი წარმოადგენს სახელმწიფო ჯანდაცვითი/ სადაზღვევო პროგრამების დამატებით სადაზღვევო პაკეტს, მოქმედებს მხოლოდ მათი მოქმედების პერიოდში და მათთან ერთად. ამ პროგრამების განხორციელების მეთოდებში ცვლილების შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს წინამდებარე პოლისით გათვალისწინებული პირობები.

**3.3. სადაზღვევო პრემია და გადახდის წესი:**

**3.3.1.** სადაზღვევო პრემიის გამოთვლა ხდება არჩეული პოლისის ფასის შესაბამისად.

**3.3.2.** დამზღვევი ვალდებულია დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია/შენატანი, სადაზღვევო პოლისში/ხელშეკრულებაში განსაზღვრული გადახდის გრაფიკის მიხედვითა და დადგენილი ოდენობით - ერთჯერადად ან განვადებით.

**3.3.3.** სადაზღვევო პრემიის გრაფიკი/ გადახდის თარიღები მითითებულია პოლისში.

**3.3.4.** სადაზღვევო პრემიის **განვადებით** გადახდისას სადაზღვევო პრემიის პირველი გადახდა ხორციელდება წინასწარ ხელშეკრულების/ პოლისის გაფორმებისთანავე, ხოლო მომდევნო გადახდები ხორციელდება ყოველ მომდევნო თვეს პოლისში მითითებულ თარიღებში, შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

**3.3.5.** სადაზღვევო პრემიის გადახდისას უნდა მიეთითოს პოლისის ნომერი.

**3.3.6.** ხელშეკრულებით/პოლისით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (თუ პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულება/პოლისის მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. ამასთან სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის მოქმედება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ, დავალიანების გადახდის დღის 24.00 საათზე დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს არ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში მიღებული მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

**3.3.7.** გრაფიკის დარღვევის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს დაზღვევის ხელშეკრულება/პოლისი ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე.

**3.3.8.** ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება არ ათავისუფლებს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

**3.4. მხარეთა უფლება – მოვალეობები:**

**3.4.1. მზღვეველი ვალდებულია:**

**3.4.1.1.** დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი სადაზღვევო პრემიის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დაზღვეულს (ან მოსარგებლეს) ზარალი ხელშეკრულების/პოლისის პირობების შესაბამისად.

**3.4.1.2.** დაიცვას და არ გაახმაუროს დამზღვევთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**3.4.1.3.** აანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები ხელშეკრულებით და დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და მზღვეველის მიერ ხარჯის ოდენობის განსაზღვრის შემდგომ.

**3.4.1.4.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შეასრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად.

**3.4.2. მზღვეველი უფლებამოსილია:**

**3.4.2.1.** დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების პირობებისა და პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**3.4.2.2.** მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია (მაგ. ცნობა სამართალდამცავი ორგანოებიდან ავტოავარიით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას) სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისას.

**3.4.2.3.** არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ (ან დაზღვეულის თანამონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი/მცდარი ინფორმაციის წარმოდგენის/ინფორმაციის დამალვის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ

ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს. ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას.

**3.4.2.4.** მზღვეველი იტოვებს უფლებას სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს სრული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ოდენობა.

**3.4.2.5.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს ყოველგვარი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის, ასევე, ზიანის მოცულობის დასადგენად.

**3.4.2.6.** მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით ან დამზღვევის ბრალით შეუძლებელია რეგრესის უფლების გამოყენება.

**3.4.2.7.** მოითხოვოს/გადაამოწმოს დაზღვეულის პერსონალური მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

**3.4.2.8.** მზღვეველი უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს ერთი ან რამოდენიმე სამედიცინო პროვაიდერი.

**3.4.2.9.** თავისი ინიციატივით შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე ცალმხრივად მოშალოს სადაზღვევო ხელშეკრულება, ხელშეკრულების მოშლის შესახებ დამზღვევის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

**3.4.3. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:**

**3.4.3.1.** ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა ის ინფორმაცია/გარემოება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი პირობებით,

**3.4.3.2.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეასრულოს მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის, ასევე, ზიანის მოცულობის დადგენას.

**3.4.3.3.** მიანიჭოს მზღვეველს უფლება მოითხოვოს/გადაამოწმოს დაზღვეულის პერსონალური მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

**3.4.3.4.** უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა, რომლის საფუძველზეც მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე.

**3.4.3.5.** დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ქმედებების/შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები.

**3.4.3.6.** ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.

**3.4.3.7.** დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ყველა საჭირო და ზუსტი ინფორმაცია/დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის აღიარებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით. მზღვეველის მოთხოვნისას დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს კანონით დადგენილი წესით მიანიჭოს უფლება მესამე პირთაგან (ექიმები, ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, სატრანსპორტო სამსახური და სხვ.) საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოპოვებაზე და საჭიროების შემთხვევაში გაათავისუფლოს უკანასკნელი პირები ინფორმაციის/დოკუმენტაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებისაგან.

**3.4.3.8.** მზღვეველისათვის გადაცემული საკონტაქტო ინფორმაციის სისწორეზე, ასევე ამ ინფორმაციის იმ პირთა კუთვნილებაზე - რაც მითითებულია დამზღვევის მიერ, ასევე მზღვეველის მიერ ამ საკონტაქტო მონაცემებზე ნებისმიერი ინფორმაციის გაგზავნის დაზღვეულთაგან ნებართვის არსებობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი.

**3.5. დაზღვევის შეწყვეტა:**

**3.5.1.** დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე.

**3.5.2.** დამზღვევის მიერ ხელშეკრულების/პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში ან დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, დამზღვევი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისთვის გამოუმუშავებული სადაზღვევო პრემიის 75%.

**3.6. ხელშეკრულებაზე უარის თქმა**

**3.6.1.** დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში (სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე), ყოველგვარი ჯარიმისა და დამატებით გადასახადის გარეშე. იხ. დანართი 1.

**3.7. სუბროგაცია:**

**3.7.1** მზღვეველი, ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისთვის/მოსარგებლისათვის მიყენებულ ზიანზე.

დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გადასცეს მზღვეველს. თუ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე უარს განაცხადებს მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ან/და არ გადასცემს მზღვეველს მის მიმართ მესამე პირის მიმართ მოთხოვნას და მასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტაციას, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მოვალეობისაგან, თუ ანაზღაურება გაცემულია ის ექვემდებარება დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ მზღვეველისათვის სრულად უკან დაბრუნებას.

**3.8 დავების გადაწყვეტა:**

**3.8.1** მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.

**3.8.2** ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.

**3.8.3** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის

მიხედვით მიმართოს სასამართლოს. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მზღვეველის ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში (თბილისის საქალაქო სასამართლო).

**3.9 ფორს-მაჟორი**

**3.9.1** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

**3.9.2** ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

**3.9.3** ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

**3.10 დამატებითი პირობები:**

**3.10.1** სანქციების პირობა - მზღვეველი არ მოახდენს სადაზღვევო ანაზღაურებას ან რაიმე მომსახურების გაწევას დამზღვევისათვის ან მესამე პირისათვის თუ ამგვარი ანაზღაურება/მომსახურება, ან დამზღვევის საქმიანობა არღვევს საერთაშორისო ან ადგილობრივი სავაჭრო თუ სხვა ეკონომიკური სანქციების მოთხოვნებს. სანქციების რიცხვს მიეკუთვნება: ადგილობრივი, ევროკავშირის, გაერთიანებული ერების, აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს; ან ნებისმიერი სხვა სანქცია რომელიც შეეხება დამზღვევს/მოსარგებლეს/დაზღვეულს, იმ პირობით რომ ამით არ ირღვევა მზღვეველის ეროვნული კანონმდებლობა.

**3.10.2** მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო მომსახურების განხორციელებაზე ან შეწყვიტოს ამგვარი ურთიერთობა, თუ დაზღვეული/დამზღვევი/ბენეფიციარი უარს აცხადებს მზღვეველისთვის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ" 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ" კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.

**3.10.3** ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევებში.

**3.10.4** ნებისმიერი შეტყობინება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ უნდა ატარებდეს წერილობით ან/და ელექტრონულ ფორმას, გარდა ხელშეკრულებით დადგენილი სპეციალური პირობებისა

**3.10.5** დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა შეტყობინება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია მზღვეველის მიერ დამზღვევს/დაზღვეულს მიეწოდება ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ან/და ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულ მისამართზე/ადგილსამყოფელზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით.

**3.10.6** დაზღვევის ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად/მიღებულად ითვლება მისი გამოგზავნის დღეს.

**3.10.7** თუ დამზღვევს/დაზღვეულს შეტყობინება გაეგზავნა დაზღვევის ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულისაგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომერზე, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია დამზღვევის/დაზღვეულის მიერ.

**3.10.8** თუ ინფორმაცია მისამართის, ადგილსამყოფელის, ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ არ გაეგზავნა მზღვეველს, მაშინ მზღვეველის მიერ ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულ მისამართზე/ელექტრონულ ფოსტაზე/ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია / შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეული მიერ მიღებულად.

**3.10.9** ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

## 4. ტერმინთა განმარტება და ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

**4.1. მომსახურება კლინიკა კურაციოში -** ითვალისწინებს კლინიკა კურაციოს პირადი ექიმის მიერ გეგმური სამედიცინო საკითხების შეთანხმებასა და ორგანიზებას, სპეციალისტის კონსულტაციას, ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს, დანიშნული კვლევების შედეგების მონიტორინგს.

**მომსახურების მისაღებად:** პირად ექიმთან ჩაწერის მიზნით დაზღვეული უკავშირდება კომპანიის ან კლინიკის ცხელ ხაზს და გეგმავს ვიზიტს. დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს. პირადი ექიმი უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით კლინიკა კურაციოში. კლინიკა კურაციოში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადი ექიმის მიმართვის წარდგენის საფუძველზე.

**4.2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება -** ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების (სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები, ამბულატორიული მანიპულაციები, მედიკამენტები) ღირებულების ანაზღაურებას, ბარათის შესაბამისად, რომელიც დაზღვეულს უნდა გაეწიოს შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში და რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის სიკვდილს.

**მომსახურების მისაღებად:** დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, მომსახურების მიღებამდე აცნობებს კომპანიის ცხელ ხაზს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. მზღვეველი კომპანიის კონტრაქტორ კლინიკასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. შეტყობინების გარეშე მომსახურების მიღება, აგრეთვე კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიღებული მომსახურების ხარჯები მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

**4.3. ჰოსპიტალური მომსახურება -** ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარ სამედიცინო მომსახურებას (მედიკამენტები; დიაგნოსტიკური მანიპულაციები; თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა; სტანდარტულ, რეანიმაციულ და/ან ინტენსიური პალატაში დაყოვნება), რომელიც ტარდება შესაბამისი

ჰოსპიტალური მომსახურების ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, როდესაც პაციენტის საწოლზე დაყოვნების ხანგრძლივობა აღემატება 24 საათს.

- **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება ითვალისწინებს:**

- გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას იმ სამედიცინო ღონისძიებებს, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის დაინვალიდებას ან ლეტალურ გამოსავალს.
- სიცოცხლის გადასარჩენად მიმართულ ჰოსპიტალურ მომსახურებას ერთდროული რეანიმაციით. ჩარევა იწყება გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წუთში.
- მწვავედ დაწყებულ ან/და კლინიკურად გაუარესებულ, სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობების დროს განსახორციელებელ ჰოსპიტალური მომსახურება, როცა სამედიცინო მომსახურება იწყება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს პირველ 24 საათში.

- **მომსახურების მისაღებად:** დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს - გარდა ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინების დაგვიანებისა, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. შეტყობინების გარეშე და კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურებას არ ექვემდებარება. მზღვეველი კომპანიის პროვაიდერ კლინიკასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.

**4.4.** **გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება ითვალისწინებს** - გეგმიურ ჰოსპიტალურ მომსახურებას, ასევე სასწრაფო დაყოვნებად ჰოსპიტალურ მომსახურებას, რომელიც იგეგმება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან რამდენიმე დღეში და/ან იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და/ან სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსახერხებელ დროის მონაკვეთში.

**მომსახურების მისაღებად: გეგმური ჰოსპიტალური მომსახურების** შესახებ დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან ჰოსპიტალიზაციის თარიღამდე მინიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე; იმ შემთხვევაში, თუ გეგმური ჰოსპიტალიზაცია წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან, წინასწარ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია და/ან ჩატარებულია კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება. კომპანიის პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.

**4.5.** **დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურება -** ითვალისწინებს გადაუდებელ და გეგმურ დღის ჰოსპიტალურ (დღის ჰოსპიტალური მომსახურება - მომსახურება, რომელიც ტარდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, ისე რომ დაზღვეული იკავებს საწოლს) და ერთ საწოლდღიან ჰოსპიტალურ (ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურება - მომსახურება, რომელიც ტარდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, ისე რომ დაზღვეულის დაყოვნება საწოლზე სამედიცინო ჩვენებით არ აღემატება 24 საათს) სამედიცინო მომსახურებას (თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა; სამკურნალო მანიპულაციები; სტანდარტულ პალატაში დაყოვნება, ჰოსპიტალში მკურნალობისას საჭირო დაიგნოსტიკური კვლევები და მედიკამენტები). აგრეთვე მათ გართულებებს (იგულისხმება, როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები), გარდა გადაუდებელი (კრიტიკული) ჰოსპიტალური მომსახურებისა.

**მომსახურების მისაღებად:** იხილე ქმედება გეგმიური და გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების დროს.

**4.6.** **სტომატოლოგიური მომსახურება:**

**4.6.1** **გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევის დროს პირველად სტომატოლოგიურ დახმარებას - კბილის სასწრაფოდ ექსტრაქცია, მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ანესთეზია და დიაგნოსტიკური ღონისძიებები (დენტოგრამა, ვიზიო

**მომსახურების მისაღებად:** დაზღვეული მიმართავს კომპანიის პროვაიდერ კლინიკას. მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.

**4.6.2** **გეგმური (თერაპიული და ქირურგიული) სტომატოლოგიური მომსახურება -** ითვალისწინებს დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს (დენტოგრამა, ვიზიო, ორთოპანტომოგრამა), თერაპიულ (კბილის დაბჟენის, ქვებისა და ნადებების მოცილებას (დახურული კიურეტაჟი ულტრასტომით და პოლირებით) და ქირურგიულ სტომატოლოგიურ (ექსტრაქცია; მათ შორის ზეკომპლექსური და რეტენირებული კბილების ექსტრაქცია (მიუხედავად სიმწვავისა)) მომსახურებას, ადგილობრივ ანესთეზიას.

**ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურება –** ითვალისწინებს კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების აღდგენას ორთოპედიული კონსტრუქციებით, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოპედიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.

**ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება -** ითვალისწინებს კბილთა დგომის, კბილთა მწკრივის და თანკბილვის ანომალიების მკურნალობას, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოდონტიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.

**დენტალური იმპლანტაციური მომსახურება** - ითვალისწინებს იმპლანტატის ჩანერგვას დანაკლისი კბილ(ებ)ის და მათი ფუნქციის აღდგენის მიზნით, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა დენტალური იმპლანტაციის მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.

**მომსახურების მისაღებად: (გეგმური (თერაპიული და ქირურგიული) სტომატოლოგიური მომსახურება, ორთოპედიული/ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება, დენტალური იმპლანტაციური მომსახურება)** დაზღვეული მიმართავს კომპანიის წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ პროვაიდერ კლინიკას. მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. მომსახურებებზე, რომელზეც პროვაიდერი კლინიკა დაზღვეულს არ სთავაზობს ფასდაკლებას და არაპროვაიდერ სტრომატოლოგიურ კლინიკაში მიღებული მომსახურების ხარჯები, მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

**4.7.** **მეორე აზრის მოძიება** - მომსახურება ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადების დიაგნოზის შემთხვევაში, მსოფლიოს წამყვანი კლინიკის სპეციალისტების მიერ დიაგნოზის დაზუსტებას/დადასტურებას, მკურნალობის ყველაზე ოპტიმალური სქემის შერჩევას, სხვა სახის სამედიცინო რეკომენდაციების მომზადებას.
**მომსახურების მისაღებად:** დაზღვეული სამუშაო საათებში უკავშირდება სერვისის მომწოდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია "მედიგაიდის" წარმომადგენელს საქართველოში -კლინიკა კურაციოს, სპეციალურ ნომერზე: 032 2 431010, სადაც აკეთებს განაცხადს მომსახურების საჭიროების შესახებ. კლინიკა კურაციო დაზღვეულს დაუკავშირდება უახლესი 1 სამუშაო დღის ვადაში. საჭირო სამედიცინო ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, კურაციოს ექიმი მედიგაიდის დახმარებით უზრუნველყოფს მსოფლიო წამყვანი სამი კლინიკის მოძიებას, საიდანაც დაზღვეული თავად ირჩევს მომსახურების გამწევ სასურველ კლინიკას. მომსახურებასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია დაზღვეულმა კლინიკას უნდა მიაწოდოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. კლინიკა კურაციო უზრუნველყოფს დაზღვეულისთვის მეორე აზრის მოძიების პირობებით განსაზღვული მომსახურების მიწოდებას შემთხვევის გაცხადებიდან 15 დღის განმავლობაში.

**4.8.** **სამოგზაურო დაზღვევა -** ითვალისწინებს საზღვაგარეთ მოგზაურობისას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას “ჯი პი აი ჰოლდინგის” სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.
**სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:** დაზღვეული ან/და უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ მზღვეველს დაუყოვნებლივ აცნობოს ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის ან მზღვეველის ცხელ ხაზზე ან პოლისში მითითებულ ასისტანს კომპანიასთან (ასისტანსი) დარეკვის გზით. სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინებისას დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: პოლისის ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და არსებული პრობლემები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საზღვრებს გარეთ მიღებული მკურნალობის ხარჯები არ ანაზღაურდება მზღვეველის მიერ. ანაზღაურების დეტალური პირობები იხ. სამოგზაურო დაზღვევის დაზღვევის პირობებში (https://mygpi.ge/ka-GE/wizard/purchase/travel/packages).

**4.9.** **მენტალური ჯანმრთელობა** - ითვალისიწნებს ფასდაკლებას ფსიქოლოგის კონსულტაციაზე და პიროვნულ განვითარებაზე ქოუჩნგის სესიაზე.
**მომსახურების მისაღებად** დაზღვეული ელექტრონული ბარათისა და პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე იღებს მომსახურებას მენტალური ცენტრის ბაზაზე და იხდის მის მიერ გადასახდელ წილს. დეტალები იხ: https://www.gpih.ge/ka/benefits/16

**4.10.** **დამატებითი ბენეფიტები:** ითვალისწინებს ფასდაკლებას არასამედიცინო მომსახურებებზე პროვაიდერ დაწერესებულებებში.
**მომსახურების მისაღებად** დაზღვეული ელექტრონული ბარათისა და პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე იღებს მომსახურებას მენტალური ცენტრის ბაზაზე და იხდის მის მიერ გადასახდელ წილს; კონტრაქტორი დაწერესებულებების სია და დეტალები იხ. აქhttps://www.gpih.ge/ka/benefits/16

# 5. ჯანმრთელობის გამონაკლისები

**ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებებთან/მდგომარეობებთან და/ან მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები**

**5.1.** **შემდეგი მოვლენებით/გარემოებებით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან და/ან მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:** თვითმკურნალობა, თვითდაშავება, თვითმკვლელობის მცდელობა, კრიმინალურ (კანონსაწინააღმდეგო) აქტში მონაწილეობა, თავისუფლების აღკვეთის პერიოდში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ნარკოტიკული და ტოქსიური ნივთიერებების ზემოქმედება, ასევე ამ ნივთიერებათა და ალკოჰოლურ ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა, ნებისმიერი სახის პროფესიულ სპორტში მონაწილეობა; გამოცხადებული ეპიდემიასთან და პანდემიასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.

**5.2.** **შემდეგ დაავადებებთან ან/და მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:** ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია, ნარკომანია, რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა, აივ-ინფექცია, შიდსი, ჰეპატიტები (გარდა ”ა” ტიპისა) (ნებისმიერი ფორმისა და სტადიის, გარდა პირველადი სასკრინინგო დიაგნოსტიკისა, რომელიც ითვალისწინებს ექიმის კონსულტაციასა და სწრაფ-მარტივ ტესტს), სექსუალური დარღვევები, ფსიქიური დაავადებები, ქცევითი აშლილობები; COVID 19.

**5.3.** **შემდეგი მომსახურებების/პროცედურების და/ან მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:** ექსპერიმენტული და ალტერნატიული მედიცინა; სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარებული მომსახურება; ექსკლუზიური/დამატებითი სამედიცინო, აყვანილი/მოწვეული ექიმის ჰონორარი და ნებისმიერი არასამედიცინო მომსახურება; გეგმიური აცრები/ვაქცინაცია/იმუნიზაცია; ნებისმიერი სახის სამედიცინო ცნობის მიღებისთვის საჭირო ხარჯები; რეაბილიტაციური, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები; პალიატიური მოვლა; კოსმეტიკური და პლასტიკური მიზნით ჩატარებული მომსახურება; წონის კორექცია, ეგზოპროთეზირება, ტრანსპლანტაცია, ხელოვნური განაყოფიერება, სტერილიზაცია, კონტრაცეფცია, ფსიქოთერაპევტი, ფსიქოანალიტიკოსი, ჰომეოპათი, ლოგოპედი; რეფრაქციული ანომალიების ლაზერული მეთოდით კორექცია.

**5.4.** ნებისმიერი სხვა (სახელმწიფო და არასახელმწიფო) სამედიცინო/ჯანდაცვის პროგრამებით თუ დაზღვევით გათვალისწინებული დაავადებების/მდგომარეობების სამედიცინო მომსახურება/მკურნალობა, გარდა აღნიშნული პროგრამების ანაზღაურების მიღმა დარჩენილი წილისა (მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაფაროს/აანაზღაუროს მხოლოდ ასეთი პროგრამის ფარგლებში, კონკრეტული სამედიცინო მომსახურებისათვის პაციენტისთვის განსაზღვრული თანაგადახდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი თანხები) მიუხედავად სამედიცინო დაწესებულებისა. ასევე, მზღვეველს წარმოეშვება შემთხვევის დაფინანსების ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ პაციენტმა/დაზღვეულმა ამოწურა სახელმწიფო პროგრამით კონკრეტული შემთხვევისთვის განსაზღვრული ფინანსური ლიმიტი. თუ სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი პირი, ნებაყოფლობით უარს აცხადებს ამ პროგრამის ბენეფიტის გამოყენებაზე, ერთჯერადად ან მუდმივად, სადაზღვევო კომპანია არ აანაზღაურებს ამ ცვლილებით გამოწვეულ დამატებით ხარჯს.

# 6. უბედური შემთხვევის დაზღვევა

**უბედური შემთხვევის დაზღვევა -** ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის მუდმივი სრული შრომისუუნარობისას მოსარგებლისთვის სადაზღვევო თანხის ანაზღურებას “სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის” უბედური შემთხვევის დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.

**6.1. უბედური შემთხვევის დაზღვევის გამონაკლისები**

ეს დაზღვევა არ ფარავს შემთხვევებს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან პროვოცირებული იქნა ან შედეგად მოჰყვა:

- დაზღვევამდე ანდა არასადაზღვევო შემთხვევის გამო ჩატარებულ ან მიმდინარე მკურნალობას ან ჩარევებს, ინფექციებს, გარდა წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევის შედეგად განვითარებულისა, კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები, რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;
- ტოქსიური ნივთიერებებით მოწამვლას, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;
- აბდომინალურ ან საზარდულის თიაქარს
- მალთაშორისი დისკების დაზიანებას, სისხლდენას შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევას, გარდა წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევის შედეგად განვითარებულისა.
- ორსულობას ან მშობიარობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაჩქარებული;
- გონებრივ, ფსიქიურ ან ფსიქოსომატურ დარღვევებს (დროებითს ან სხვას);
- დაზღვეულის ყოფნას ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოქმედების ქვეშ;
- განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობას (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);
- დაზღვეულის თვითმკვლელობას ან ამგვარის მცდელობას, შეგნებულ თვითდაშავებას;
- დაზღვეულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მისი ჩადენის მცდელობას;
- ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება), ნებისმიერ დაზიანებას ან დაავადებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიურ დაბინძურებას;
- ომს, ინტერვენციას, საომარ მოქმედებებს (განურჩევლად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომს, აჯანყებას, ნაციონალიზაციას ან კონფისკაციას ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი პირების, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში და რომელთა საქმიანობაც მიმართულია de facto თუ de jure მთავრობის გადადგომაზე ან მის ზეგავლენაზე ტერორიზმის თუ ძალადობის მეშვეობით;
- ნებისმიერ ტერორისტულ აქტს;
- ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ან/და საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით გამოყენებულ ძალას ან ძალადობას და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირების ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა მოქმედებენ ისინი მარტო, თუ რაიმე ორგანიზაციების ან ხელისუფლებების სახელით ან მათთან შეთანხმებულად.
- აგრეთვე გამონაკლისს წარმოადგენს ნებისმიერი უბედური შემთხვევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია ნებისმიერ ქმედებასთან, რომელიც ჩადენილია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელშეშლის, აცილების მიზნით ან რაიმე კავშირშია მასთან.
- სანაძლეოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებას ან მის მცდელობას და მისთვის მზადებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, დაზღვეულის წინასწარ განზრახულ მკვლელობას ან მის მონაწილეობას მკვლელობის ორგანიზებაში;
- დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას - პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- მონაწილეობას ზამთრის სპორტის სახეობებში, პროფესიონალურ თუ სამოყვარულო სპორტში, აკვალანგით ყვინთვაში, კლდეზე ცოცვაში ან ალპინიზმში, სპელეოლოგიაში, დელტაპლანერიზმში, პარაშუტით ხტომაში, ნადირობაში, რაიმე სახის დოღებში ან რბოლებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში.

**6.2. ქმედება უბედური შემთხვევის დროს**

- ნებისმიერი უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეული/დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია უბედური შემთხვევის მომენტიდან 48 საათის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს ცხელი ხაზის საშუალებით (+995 032 2 505 111). შეტყობინება მოიცავს უბედური შემთხვევის აღწერას, დაზღვეულის სახელს და გვარს, დაზიანების სავარაუდო მოცულობას.
- სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეულმა მზღვეველთან ასანაზღაურებლად უნდა წარმოადგინოს ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია შესაბამის ვადებში. დოკუმენტაციის წარმოდგენისას დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია შეავსოს მზღვეველის მიერ მისთვის მიწოდებული ფორმა "პრეტენზია ანაზღაურებაზე".
- იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი თვლის, რომ საჭიროა შრომისუუნარობის ხარისხის დაზუსტება, მის მიერ მოთხოვნილ ექიმ-ექსპერტს ნება უნდა დაერთოს ჩაუტაროს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევა. ნებისმიერ შემთხვევაში დამადასტურებელ საბუთებს სამედიცინო ცნობების, ანკეტების, დეკლარაციების, ან სხვა სახით, მზღვეველის მოთხოვნისამებრ დაზღვეული წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით.
- დაზღვეულის მუდმივი შრომისუუნარობით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევისას, შრომისუნარიანობის დაკარვის დადგენა ხდება საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ" ბრძანების შესაბამისად. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის მუდმივი ნაწილობრივი ანდა დაზღვეულის მუდმივი სრული შრომისუნარიანობის დადგენის შემდეგ.

**6.3. ანაზღაურების პროცედურა და ვადები:**

- სადაზღვევო შემთხვევის მზღვეველისთვის შეტყობინების შემდეგ დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადთან („პრეტენზია ანაზღაურებაზე") ერთად მუდმივი შრომისუუნარობის შემთხვევაში შრომისუნარიანობის დადგენიდან 1 თვის ვადაში.

- დაზღვეული/მოსარგებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი პირობის, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან ვადების დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი.
- მზღვეველს აქვს უფლება ვადის დარღვევის შემთხვევაში დაზღვეულის/მოსარგებლის მოტივირებული წერილის წარმოდგენის შემთხვევაში იმსჯელოს დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ ვადის დარღვევის ფაქტზე თუ ეს დარღვევა გამოწვეული იყო მხოლოდ დაუძლეველი ძალით.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი **10** კალენდარული დღის ვადაში აუნაზღაურებს დაზღვეული/მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას.

**6.4. ანაზღაურების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადასაწყვეტად, ანაზღაურებაზე პრეტენზიასთან ერთად, მზღვეველს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- სამართალდამცავის ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- სადაზღვევო პოლისის ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- დაზღვეულის სისხლში ალკოჰოლისა და ტოქსიკური ნივთიერებების მაჩვენებლის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამედიცინო ფორმა 100-ში შესაბამისი ჩანაწერი ან სასამართლო ექპერტიზის მიერ გაცემული პათოლოგ-ანატომიურ დასკვნაში მითითებით)
- სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება მუდმივი შრომისუუნარობის დადგომის და შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის შესახებ;
- დაზღვეულის პირადობის მოწმობა

## 7. ონკოქეარი

სიმსივნური დაავადების დაზღვევა - ითვალისწინებს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეულის ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირების შემთხვევაში მოსარგებლისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას, დაზღვევის პირობების გათვალისწინებით. მხარეები თანხმდებიან და მათთვის ცნობილია რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებას, კერძოდ აღნიშნული დაზღვევის ფარგლებში გაცემული ფულადი კომპენსაცია არ წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, არ არის დამოკიდებული მასზე და დაზღვეულმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი მიზნისთვის.

**7.1. ტერმინთა განმარტებები:**

- ***მკურნალი ექიმი*** – შესაბამისი სამედიცინო სპეციალობის მქონე ექიმი, რომელიც მონაწილეობდა ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების პირველადი დიაგნოზის დასმაში და დაზღვეულის მკურნალობაში, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი და რომელიც მას აძლევს სამედიცინო პრაქტიკის განხორციელების უფლებას საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით; თუ დაზღვეული თავად არის მკურნალი ექიმი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს სხვა მკურნალი ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნა.
- ***დიაგნოზი*** – წერილობითი დასკვნა, რომელიც აზუსტებს ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირებული ფორმის სახელწოდებასა და განვითარების სტადიას და შედგენილია იმ მკურნალი ექიმის მიერ, რომელმაც ჩაატარა დაზღვეულის ფიზიკური და/ან დიაგნოსტიკური შემოწმება;
- ***სამედიცინო ჩანაწერები*** – დოკუმენტაცია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, შედგენილი მკურნალი ექიმის და/ან ჯანდაცვის სხვა მუშაკის თუ სამედიცინო დაწესებულების მიერ. ამგვარი დოკუმენტაცია მოიცავს მკურნალი ექიმის საბოლოო დასკვნას ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზთან დაკავშირებით, რეკომენდაციებს მკურნალობისთვის და ისეთ აუცილებელ დოკუმენტაციას, როგორიცაა ლაბორატორიული ანალიზების შედეგები, რენტგენოგრამა, ჰისტოპათოლოგიური შედეგები, სხვა სადიაგნოსტიკო კვლევების შედეგები და დამატებითი ინფორმაცია, მიღებული კლინიკური შემოწმების შედეგად;
- ***დაზღვევამდე არსებული დაავადება*** – დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე, რაც წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ მზღვეველმა გამორიცხოს სადაზღვევო თანხის/კომპენსაციის გადახდის ვალდებულება;
- ***ინვაზიური სიმსივნე*** – დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ხასიათდება უკონტროლო ზრდით და ავთვისებიანი უჯრედების გავრცელებით და შეღწევით ჯანმრთელ ქსოვილებში;
- ***მოცდის პერიოდი*** – პერიოდი, რომელიც იწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებისას არ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა. ამ დაზღვევის ფარგლებში მოცდის პერიოდი 6 თვეა.
- ***სადაზღვევო შემთხვევა*** – შესაბამისი სამედიცინო სპეციალობის და საექიმო უფლების მქონე ექიმის მიერ ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზის დადგენა დაზღვეულისთვის;
- ***სადაზღვევო ანაზღაურება*** – დაზღვეულის მიერ არჩეული სადაზღვევო თანხა, რომელიც გაიცემა დაზღვეულზე იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულს დაუდგინდება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება.

**7.2. სადაზღვევო დაფარვა და სადაზღვევო შემთხვევა:**

- წინამდებარე პირობების თანახმად, სადაზღვევო შემთხვევად ჩაითვლება დაზღვეულისთვის ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების პირველად დიაგნოსტირება დაზღვევის პერიოდის განმავლობაში.
- ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზი დასმული უნდა იქნეს შესაბამისი სპეციალობის სერტიფიცირებული ექიმის მიერ.
- სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირება წინამდებარე პირობების მე-7 მუხლში მოხსენიებული მოცდის პერიოდის განმავლობაში.
- დაზღვევა დაფარავს ინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების ყველა ფორმას, რომელიც შედის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-10) მე-10 გამოცემის C00–C97 კოდებში, მათ შორის ლეიკემიის, ავთვისებიანი ლიმფომის, კანის ლიმფომის, ჰოჯკინსის დაავადების, ძვლის ტვინის ავთვისებიანი ცვლილებების და სარკომის ჩათვლით, გარდა C44 კოდისა (კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები, გარდა მელანომისა). (ICD-10-ის შესახებ დეტალური ინფორმაცა იხ. ბმულზე: http://classifications.moh.gov.ge)
- ინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზი უნდა დადასტურდეს, მათ შორის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე.

- სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირება, რომელიც წარმოადგენს დაზღვევამდე ან მოცდის პერიოდში დიაგნოსტირებული დაავადების პირდაპირ გართულებას ან მის მალიგნიზაციას.

**7.3. გამონაკლისები:**

- სადაზღვევო თანხა არ გაიცემა იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს დაზღვევამდე დიაგნოსტირებული აქვს ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება.
- სადაზღვევო თანხა არ იქნება გადახდილი თუ მისი გადახდის მოთხოვნა გამომდინარეობს ქვემოთ მოცემული რომელიმე დაავადებიდან, რომელიც გამოკვლეული ან დიაგნოსტირებული იქნება დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე ან მოცდის პერიოდში:
- ✓ სიმსივნე, კიბო, ლეიკემია, ლიმფომა, კანის პათოლგიური ცვლილება ან ხალების ნებისმიერი ფორმა, რომელსაც ახლავს სისხლდენა, ტკივილი, ფერის შეცვლა ან ზომის მომატება.
- ✓ მსხვილი ნაწილავის პოლიპოზი, ნაწლავის ანთება (კრონის დაავადება ან წყლლოვანი კოლოტი), თირკმლის პოლიკისტოზი, სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებები, აზბესტოზი, B, C, D, E ფორმის ჰეპატიტი, ანღვიძლის ციროზის რომელიმე ფორმა.
- მზღვეველი არ იქნება ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო თანხა, თუ ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირებთვის საჭირო ღონისძიებები დაწყებულია მოცდის პერიოდის განმავლობაში.
- სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირება, რომელიც წარმოადგენს დაზღვევამდე ან მოცდის პერიოდში დიაგნოსტირებული დაავადების პირდაპირ გართულებას ან მის მალიგნიზაციას.
- მზღვეველი არ იქნება ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო თანხა, არაინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირებისას. წინამდებარე პირობების თანახმად შემდეგი არ ჩაითვლება ინვაზიურ ავთვისებიანი სიმსივნურ დაავადებად:
- არაინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება, პრენივაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება, დისპლაზია და ყველა კიბოსწინარე მდგომარეობები;
- პროსტატის კიბო, თუ მას არა აქვს მიღწეული TNM კლასიფიკაციის T2N0M0 სტადია;
- კანის ნებისმიერი პირველადი ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება (C44 კოდი ICD-10-ის მიხედვით-კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები), გარდა ავთვისებიანი მელანომისა, რომელიც სცილდება ეპიდერმისს (IA-ზე მაღალი სტადია);
- ფარისებრი ჯირკვლის პაპილარული კიბო, რომელიც ლოკალიზებულია ერთ ორგანოში;
- ნებისმიერი სიმსივნე და ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება აივ ინფექციის არსებობისას.
- სადაზღვევო თანხა არ გაიცემა:
- სადაზღვევო თანხის ამოწურვის შემდეგ.
- როცა დაზღვეული უარს აცხადებს იმ ექიმისა და მედიკოსთა გუნდის კონფიდენციალურობის ვალდებულებიდან გათავისუფლებაზე, რომლებმაც დასვეს დიაგნოზი, რაც ხელს უშლის მზღვეველს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაში;

**7.4. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:**

- დაზღვეული სადაზღვევო პერიოდში დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების შემთხვევაში, დიაგნოსტირებიდან რაც შეიძლება მოკლე ვადაში (გამომდინარე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან) მზღვეველის სერვის ცენტრში წარადგენს ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადს, დაზღვევის პოლისს და დიაგნოზის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (მათ შორის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების პასუხები, სამედიცინო ისტორია, სამედიცინო ფორმა #100).
- ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების საბოლოო დიაგნოზი, დადასტურებული მკურნალი ექიმი-სპეციალისტის მიერ, უნდა შეესაბამებოდეს დაავადების განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.
- დაზღვეული წარადგენს სრულ სამედიცინო ჩანაწერებს, საიდანაც მზღვეველის ვალდებულება დადგინდება მტკიცებულებებით, რადიოლოგიური, ჰისტოპათოლოგიური, ლაბორატორიული, კლინიკური და სხვა შედეგების ჩათვლით.
- წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები არ გადაეცემა მესამე პირს. მხოლოდ დაზღვეულს შეუძლია სადაზღვევო თანხის ან მისი რომელიმე ნაწილის მიღება. თუ დაზღვეული არ არის ქმედუნარიანი, თანხა გადაეცემა მის კანონიერ წარმომადგენელს/მეურვეს. თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა დაზღვევის პერიოდში და გაცხადებული იქნა ვიდრე დაზღვეული იყო ცოცხალი, მაგრამ მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული მის გარდაცვალებამდე, მაშინ სადაზღვევო თანხა ან მისი რამე ნაწილი, რომელიც უნდა მიეღო დაზღვეულს წინამდებარე პირობების თანახმად, გადახდილი იქნება პოლისში დადგენილი მოსარგებლისთვის ან გარდაცვლილის მემკვიდრეებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ჯიპიაის სტომატოლოგიური პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები

**8.1. პროვაიდერი კლინიკები (გეგმური სტომატოლოგიური მომსახურება):**

**8.1.1.** ქ. თბილისი - « *უნივერს დენტალი(შპს ინტერმედ ტური) » - სულხან ცინცაძის ქ.#35; ტელ.: 2 43 02 02 - 50% ფასდაკლება

**8.1.2.** ქ. თბილისი - « დენტავიტა » - ვ.ფშაველას 1 შესახვევი #1/43; ტელ: 2 32 35 69; 2 32 41 88 - 50% ფასდაკლება

**8.1.3.** ქ. თბილისი - « მედი-დენტ+ » - არაყიშვილის 1-ელი ჩიხი# 5; ტელ: 2 91 49 35 - 50% ფასდაკლება

**8.1.4.** ქ. თბილისი - « + ულტრა დენტი » - გამრეკელის ქ. #7; ტელ. : 2 14 12 68 - 50% ფასდაკლება

**8.1.5.** ქ. თბილისი - « ელენდენტი » - გაზაფხულის 25; ტელ. : 0322477175; 599282500; 595252104 - 50% ფასდაკლება

**8.1.6.** ქ. თბილისი - « ლიდერ-დენტალ ინთერნეიშენალ » - გია ტეტელაშვილის ქ.# 8 ; ტელ.: 2 30 60 66 - 50% ფასდაკლება

**8.1.7.** ქ. თბილისი - ხაბაზიშვილი დიანა (აიდენტ Ident) - ქინძმარაულის შეს. 3/1 - 599955581; 0322700791 - 50% ფასდაკლება

**8.1.8.** ქ. თბილისი - ქავთარაძე ქეთევან (ქეთევან ქავთარაძის სტომატოლოგიური ბახტრიონზე) - ბახტრიონის #26; ტელ: 0322360607; 577416956 - 50% ფასდაკლება

**8.1.9.** ქ. თბილისი - ნინო ტრაპაიძე სტომატოლოგიური ცენტრი ინოვა - ა. წერეთლის 141ა; ტელ: 577475333; 0322351785; 599115343 - 50% ფასდაკლება

**8.1.10.** ქ. თბილისი - ნც დენტალ (ხუჯაძის სტომატოლოგიური) - პეკინის გამზ. 39; ტელ: 599522551 - 50% ფასდაკლება

**8.1.11.** ქ. თბილისი - შპს დენტალმედი - ალ.ყაზბეგის გამზირი #35; ტელ: 0322147172; 599539791 - 50% ფასდაკლება

**8.1.12.** ქ. თბილისი - ანიაშვილი გვანცა (გვანცა ანიაშვილის სტომატოლოგიური) - მირიან მეფის 33; ტელ: 551951155 - 50% ფასდაკლება

**8.1.13.** ქ. თბილისი - შპს დრიმ დენტალ გრუფი - ნ. ბარათაშვილის #10; 579501010; 0322991200 - 50% ფასდაკლება

**8.1.14.** ქ. თბილისი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ("გრუნივერსი" - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კლინიკური ცენტრი ) - ბერბუკის 1; ტელ: 0322007800 - 50% ფასდაკლება

**8.1.15.** ქ. თბილისი - შპს ჯოხაძის სტომატოლოგიური ცენტრი - დიდი დიღომი, მირიან მეფის 42, ბ. 2ბ; ტელ: 592723272 - 50% ფასდაკლება
**8.1.16.** ქ. თბილისი - შპს იარალი - კალოუბნის ქ.N 1; ტელ: 595171707 - 50% ფასდაკლება
**8.1.17.** ქ. თბილისი - შპს ნინო დადვანის ესთეტიკის და სტომატოლოგიის ცენტრი - საბურთალო, ადამ მიცკევიჩის 25 ბ; ტელ: 598300311 - 50% ფასდაკლება
**8.1.18.** ქ. თბილისი - შპს ესთეტიკ რუმი - სანზონის დასახლება კორპუსი 18 ა; ტელ: 595 43 95 50 - 50% ფასდაკლება
**8.1.19.** ქ. თბილისი - შპს კირვალიძე სტუდიო დენტალ ვაზისუბანი - ვაზისუბანი, შალვა მშველიძის 4; ტელ: 511401111 - 50% ფასდაკლება
**8.1.20.** ქ. თბილისი - აბდუშელიშვილი გურამ (დენტე) - დიდი დიღომი, მირიან მეფის 13ა; ტელ: 510000221; 579779422 - 50% ფასდაკლება
**8.1.21.** ქ. თბილისი - შპს დენტალ ენდ ესთეტიკ სტუდიო - ლილო, ლილო მოლი ნაკვეთი # 1/6; ტელ.:0322430477 – 50% ფასდაკლება
**8.1.22.** ქ. თბილისი - შპს დენტალ ენდ ესთეტიკ სტუდიო - საბურთალო, ჟიული შარტავას # 39.ბ/1; ტელ.:0322430477 – 50% ფასდაკლება
**8.1.23.** ქ. ბათუმი - « დენტა-ლუქსი » - ახმეტელის ქ. 1ბ#2; ჯავახიშვილის ქ. 76/78; 26 მაისის ქ. #40; ზურაბ გორგილაძის 69; ტელ.: 27 37 45; 27 29 76; 27 19 73; 27 52 99 - 50% ფასდაკლება
**8.1.24.** ქ. ბათუმი - « კავაზაშვილი ნათია » (ფემილი დენტალი) - ჭავჭავაძის ქ. 39-47; ტელ.: 574120878 - 50% ფასდაკლება
**8.1.25.** ქ. ბათუმი - ინდივიდუალური მეწარმე შენი ღიმილი - ზ. გორგილაძის 98; ტელ.: 557926191; 595126464 - 50% ფასდაკლება
**8.1.26.** ქ. ქუთაისი - « ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი » - რუსთაველის ქ. #102; ტელ.: 2 4 19 88; 2 4 37 77 - 50% ფასდაკლება
**8.1.27.** ქ. ქუთაისი - შპს გოგენი (დენტალ ჰაუსი ქუთაისში) - ჭავჭავაძის ქ#41; ტელ.: 577317637 - 50% ფასდაკლება
**8.1.28.** ქ. თელავი - « ნოვომედი სტომატოლოგიური » - ი. ჭავჭავაძის ქ. #54 ტელ. : 27 30 33 - 50% ფასდაკლება
**8.1.29.** ქ. თელავი - შაშურაშვილი ნინო (ნინო შაშურაშვილის სტომატოლოგიური და ესთეტიკური მედიცინის ცენტრი) - ერეკლე მეორის N8; ტელ. : 599100746 - 50% ფასდაკლება
**8.1.30.** ქ. ზუგდიდი - « ზუგდიდის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა » - ზ. გამსახურდიას ქ. #30; ტელ.: 32 50 51 - 50% ფასდაკლება
**8.1.31.** ქ. რუსთავი - შპს მედქორნერ - ჟიული შარტავას გამზ., N 12ა, ბლოკი ა, სართ. 2, ტელ.: 595 22 11 12; 595 73 77 55 - 50% ფასდაკლება
**8.1.32.** ქ.ახალციხე - შპს მედქორნერ ახალციხე (მედქორნერი ახალციხეში) - შოთა რუსთაველის ქ.N 57ა; 595737755; 596231212- 50% ფასდაკლება
**8.1.33.** კასპი - შპს მარიმედი - სააკაძის ქ.110; ტელ.: 595446475; 574228821 - 50% ფასდაკლება

**8.2. ორთოპედიულ/ორთოდონტიულ სტომატოლოგიურ მომსახურებაზე ფასდაკლების % მაჩვენებელი**
**8.2.1.** ქ. თბილისი - « *უნივერს დენტალი(შპს ინტერმედ ტური) » - სულხან ცინცაძის ქ.#35; ტელ.: 2 43 02 02 - 50% ფასდაკლება
**8.2.2.** ქ. თბილისი - « დენტავიტა » - ვ.ფშაველას 1 შესახვევი #1/43; ტელ: 2 32 35 69; 2 32 41 88 - 30% ფასდაკლება
**8.2.3.** ქ. თბილისი - « მედი-დენტ+ » - არაყიშვილის 1-ელი ჩიხი# 5; ტელ: 2 91 49 35 - 20% ფასდაკლება
**8.2.4.** ქ. თბილისი - « + ულტრა დენტი » - გამრეკელის ქ. #7; ტელ. : 2 14 12 68 - 30% ფასდაკლება
**8.2.5.** ქ. თბილისი - « ელენდენტი » - გაზაფხულის 25; ტელ. : 0322477175; 599282500; 595252104 - 50% ფასდაკლება
**8.2.6.** ქ. თბილისი - « ლიდერ-დენტალ ინთერნეიშენალ » - გია ტეტელაშვილის ქ.# 8 ; ტელ.: 2 30 60 66 - 50% ფასდაკლება
**8.2.7.** ქ. თბილისი - ხაბაზიშვილი დიანა (აიდენტ Ident) - ქინძმარაულის შეს. 3/1 - 599955581; 0322700791 - 30% ფასდაკლება
**8.2.8.** ქ. თბილისი - ქავთარაძე ქეთევან (ქეთევან ქავთარაძის სტომატოლოგიური ბახტრიონზე) - ბახტრიონის #26; ტელ: 0322360607; 577416956 - 30% ფასდაკლება
**8.2.9.** ქ. თბილისი - ნინო ტრაპაიძე სტომატოლოგიური ცენტრი ინოვა - ა. წერეთლის 141ა; ტელ: 577475333; 0322351785; 599115343 - 30% ფასდაკლება
**8.2.10.** ქ. თბილისი - ნც დენტალ (ხუჯაძის სტომატოლოგიური) - პეკინის გამზ. 39; ტელ: 599522551 - 30% ფასდაკლება
**8.2.11.** ქ. თბილისი - შპს დენტალმედი - ალ.ყაზბეგის გამზირი #35; ტელ: 0322147172; 599539791 - 30% ფასდაკლება
**8.2.12.** ქ. თბილისი - ანიაშვილი გვანცა (გვანცა ანიაშვილის სტომატოლოგიური) - მირიან მეფის 33; ტელ: 551951155 - 30% ფასდაკლება
**8.2.13.** ქ. თბილისი - შპს დრიმ დენტალ გრუფი - ნ. ბარათაშვილის #10; 579501010; 0322991200 - 30% ფასდაკლება
**8.2.14.** ქ. თბილისი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ("გრუნივერსი" - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კლინიკური ცენტრი ) - ბერბუკის 1; ტელ: 0322007800 - 30% ფასდაკლება
**8.2.15.** ქ. თბილისი - შპს ჯოხაძის სტომატოლოგიური ცენტრი - დიდი დიღომი, მირიან მეფის 42, ბ. 2ბ; ტელ: 592723272 - 30% ფასდაკლება
**8.2.16.** ქ. თბილისი - შპს იარალი - კალოუბნის ქ.N 1; ტელ: 595171707 - 30% ფასდაკლება
**8.2.17.** ქ. თბილისი - შპს ნინო დადვანის ესთეტიკის და სტომატოლოგიის ცენტრი - საბურთალო, ადამ მიცკევიჩის 25 ბ; ტელ: 598300311 - 30% ფასდაკლება
**8.2.18.** ქ. თბილისი - შპს ესთეტიკ რუმი - სანზონის დასახლება კორპუსი 18 ა; ტელ: 595 43 95 50 - 30% ფასდაკლება
**8.2.19.** ქ. თბილისი - შპს კირვალიძე სტუდიო დენტალ ვაზისუბანი - ვაზისუბანი, შალვა მშველიძის 4; ტელ: 511401111 - 30% ფასდაკლება
**8.2.20.** ქ. თბილისი - აბდუშელიშვილი გურამ (დენტე) - დიდი დიღომი, მირიან მეფის 13ა; ტელ: 510000221; 579779422 - 30% ფასდაკლება
**8.2.21.** ქ. თბილისი - შპს დენტალ ენდ ესთეტიკ სტუდიო - ლილო, ლილო მოლი ნაკვეთი # 1/6; ტელ.:0322430477 – 30% ფასდაკლება
**8.2.22.** ქ. თბილისი - შპს დენტალ ენდ ესთეტიკ სტუდიო - საბურთალო, ჟიული შარტავას # 39.ბ/1; ტელ.:0322430477 – 30% ფასდაკლება
**8.2.23.** ქ. ბათუმი - « დენტა-ლუქსი » - ახმეტელის ქ. 1ბ#2; ჯავახიშვილის ქ. 76/78; 26 მაისის ქ. #40; ზურაბ გორგილაძის 69; ტელ.: 27 37 45; 27 29 76; 27 19 73; 27 52 99 - 30% ფასდაკლება
**8.2.24.** ქ. ბათუმი - « კავაზაშვილი ნათია » (ფემილი დენტალი) - ჭავჭავაძის ქ. 39-47; ტელ.: 574120878 - 50% ფასდაკლება
**8.2.25.** ქ. ბათუმი - ინდივიდუალური მეწარმე შენი ღიმილი - ზ. გორგილაძის 98; ტელ.: 557926191; 595126464 - 30% ფასდაკლება
**8.2.26.** ქ. ქუთაისი - « ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი » - რუსთაველის ქ. #102; ტელ.: 2 4 19 88; 2 4 37 77 - 30% ფასდაკლება
**8.2.27.** ქ. ქუთაისი - შპს გოგენი (დენტალ ჰაუსი ქუთაისში) - ჭავჭავაძის ქ#41; ტელ.: 577317637 - 30% ფასდაკლება
**8.2.28.** ქ. თელავი - « ნოვომედი სტომატოლოგიური » - ი. ჭავჭავაძის ქ. #54 ტელ. : 27 30 33 - 30% ფასდაკლება
**8.2.29.** ქ. თელავი - შაშურაშვილი ნინო (ნინო შაშურაშვილის სტომატოლოგიური და ესთეტიკური მედიცინის ცენტრი) - ერეკლე მეორის N8; ტელ. : 599100746 - 30% ფასდაკლება

**8.2.30.** ქ. ზუგდიდი - « ზუგდიდის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა » - ზ. გამსახურდიას ქ. #30; ტელ.: 32 50 51 - 30% ფასდაკლება
**8.2.31.** ქ. რუსთავი - შპს მედქორნერ - ჟიული შარტავას გამზ., N 12ა, ბლოკი ა, სართ. 2, ტელ.: 595 22 11 12; 595 73 77 55 - 30% ფასდაკლება
**8.2.32.** ქ.ახალციხე - შპს მედქორნერ ახალციხე (მედქორნერი ახალციხეში) - შოთა რუსთაველის ქ.N 57ა; 595737755; 596231212- 30% ფასდაკლება
**8.2.33.** კასპი - შპს მარიმედი - სააკაძის ქ.110; ტელ.: 595446475; 574228821 - 50% ფასდაკლება

**8.3. დენტალურ იმპლანტაციაურ მომსახურებაზე ფასდაკლების % მაჩვენებელი**
**8.3.1.** ქ. თბილისი - « *უნივერს დენტალი(შპს ინტერმედ ტური) » - სულხან ცინცაძის ქ.#35; ტელ.: 2 43 02 02- 50% ფასდაკლება
**8.3.2.** ქ. თბილისი - « ელენდენტი » - გაზაფხულის 25; ტელ. : 0322477175; 599282500; 595252104 - 50% ფასდაკლება
**8.3.3.** ქ. თბილისი - « ლიდერ-დენტალ ინთერნეიშენალ » - ივანე თარხნიშვილის ქ2; ტელ.: 2 30 60 66 - 50% ფასდაკლება
**8.3.4.** ქ. თბილისი - « მედი-დენტ+ » - არაყიშვილის 1-ელი ჩიხი # 5; ტელ: 2 91 49 35-20% ფასდაკლება
**8.3.5.** ქ. თბილისი - « დენტავიტა » - ვ.ფშაველას 1 შესახვევი #1/43; ტელ: 2 32 35 69; 2 32 41 88-30% ფასდაკლება
**8.3.6.** ქ. თბილისი - « + ულტრა დენტი » - გამრეკელის ქ. #7; ტელ.: 2 14 12 68 -30% ფასდაკლება
**8.3.7.** ქ. თბილისი - ხაბაზიშვილი დიანა (აიდენტ Ident)- ქინძმარაულის შეს. 3/1 - 599955581; 0322700791- 30% ფასდაკლება
**8.3.8.** ქ. თბილისი - ნინო ტრაპაიძე სტომატოლოგიური ცენტრი ინოვა - ა. წერეთლის 141ა; ტელ: 577475333; 0322351785; 599115343 - 30% ფასდაკლება
**8.3.9.** ქ. თბილისი - ქავთარაძე ქეთევან (ქეთევან ქავთარაძის სტომატოლოგიური ბახტრიონზე) - ბახტრიონის #26; ტელ: 0322360607; 577416956 - 30% ფასდაკლება
**8.3.10.** ქ. თბილისი - ნც დენტალ (ხუჯაძის სტომატოლოგიური) - პეკინის გამზ. 39; ტელ: 599522551 - 30% ფასდაკლება
**8.3.11.** ქ. თბილისი - შპს დენტალმედი - ალ.ყაზბეგის გამზირი #35; ტელ: 0322147172; 599539791 - 30% ფასდაკლება
**8.3.12.** ქ. თბილისი - ანიაშვილი გვანცა (გვანცა ანიაშვილის სტომატოლოგიური) - მირიან მეფის 33; ტელ: 551951155 - 30% ფასდაკლება
**8.3.13.** ქ. თბილისი - შპს დრიმ დენტალ გრუფი - ნ. ბარათაშვილის #10; 579501010; 0322991200 - 30% ფასდაკლება
**8.3.14.** ქ. თბილისი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ("გრუნივერსი" - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კლინიკური ცენტრი ) - ბერბუკის 1; ტელ: 0322007800 - 30% ფასდაკლება
**8.3.15.** ქ. თბილისი - შპს ჯოხაძის სტომატოლოგიური ცენტრი - დიდი დიღომი, მირიან მეფის 42, ბ. 2ბ; ტელ: 592723272 - 30% ფასდაკლება
**8.3.16.** ქ. თბილისი - შპს იარალი - კალოუბნის ქ.N 1; ტელ: 595171707 - 30% ფასდაკლება
**8.3.17.** ქ. თბილისი - შპს ნინო დადვანის ესთეტიკის და სტომატოლოგიის ცენტრი - საბურთალო, ადამ მიცკევიჩის 25 ბ; ტელ: 598300311 - 30% ფასდაკლება
**8.3.18.** ქ. თბილისი - შპს ესთეტიკ რუმი - სანზონის დასახლება კორპუსი 18 ა; ტელ: 595 43 95 50 - 30% ფასდაკლება
**8.3.19.** ქ. თბილისი - შპს კირვალიძე სტუდიო დენტალ ვაზისუბანი - ვაზისუბანი, შალვა მშველიძის 4; ტელ: 511401111 - 30% ფასდაკლება
**8.3.20.** ქ. თბილისი - აბდუშელიშვილი გურამ (დენტე) - დიდი დიღომი, მირიან მეფის 13ა; ტელ: 510000221; 579779422 - 30% ფასდაკლება
**8.3.21.** ქ. თბილისი - შპს დენტალ ენდ ესთეტიკ სტუდიო - ლილო, ლილო მოლი ნაკვეთი # 1/6; ტელ.:0322430477 – 30% ფასდაკლება
**8.3.22.** ქ. თბილისი - შპს დენტალ ენდ ესთეტიკ სტუდიო - საბურთალო, ჟიული შარტავას # 39.ბ/1; ტელ.:0322430477 – 30% ფასდაკლება
**8.3.23.** ქ. რუსთავი - შპს მედქორნერ - ჟიული შარტავას გამზ., N 12ა, ბლოკი ა, სართ. 2, ტელ.: 595 22 11 12; 595 73 77 55 - 30% ფასდაკლება
**8.3.24.** ქ. ბათუმი - « დენტა-ლუქსი » - ახმეტელის ქ. 1ბ#2; ჯავახიშვილის ქ. 76/78; 26 მაისის ქ. #40; ზურაბ გორგილაძის 69; ტელ.: 27 37 45; 27 29 76; 27 19 73; 27 52 99 - 30% ფასდაკლება
**8.3.25.** ქ. ბათუმი - « კავაზაშვილი ნათია » (ფემილი დენტალი) - ჭავჭავაძის ქ. 39-47; ტელ.: 574120878 -30% ფასდაკლება
**8.3.26.** ქ. ბათუმი - ინდივიდუალური მეწარმე შენი ღიმილი - ზ. გორგილაძის 98; ტელ.: 557926191; 595126464 - 30% ფასდაკლება
**8.3.27.** ქ. თელავი - « ნოვომედი სტომატოლოგიური » - ი. ჭავჭავაძის ქ. #54 ტელ.: 27 30 33 -20% ფასდაკლება
**8.3.28.** ქ. თელავი - შაშურაშვილი ნინო (ნინო შაშურაშვილის სტომატოლოგიური და ესთეტიკური მედიცინის ცენტრი) - ერეკლე მეორის N8; ტელ. : 599100746 - 30% ფასდაკლება
**8.3.29.** ქ. ქუთაისი - « ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი » - რუსთაველის ქ. #6; ტელ.: 24 19 88- 30% ფასდაკლება
**8.3.30.** ქ. ქუთაისი - შპს გოგენი (დენტალ ჰაუსი ქუთაისში) - ჭავჭავაძის ქ#41; ტელ.: 577317637 - 30% ფასდაკლება
**8.3.31.** ახალციხე - შპს მედქორნერ ახალციხე - შოთა რუსთაველის ქ. N 57ა; ტელ.: 595737755; 596231212 - 30% ფასდაკლება
**8.3.32.** კასპი - შპს მარიმედი - სააკაძის ქ.110; ტელ.: 595446475; 574228821 - 30% ფასდაკლება

**მზღვეველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს ერთი ან რამოდენიმე სამედიცინო პროვაიდერი.**

## დანართი # 1

დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადი
წინამდებარე განაცხადზე ხელმოწერით, ვადასტურებ, რომ, მე
_____________________________________________________________________________________
სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მსურს ვისარგებლო „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას
მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის შესახებ საქართველოს
დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3
აპრილის N18 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო
მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის" მუხლი 41-ის 1-ლი პუნქტის „ბ"
ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით და გთხოვთ, დაუყოვნებლივ გააუქმოთ დაზღვევის
ხელშეკრულება _______________ და მის ფარგლებში გაცემული პოლისი ______________.
ნომერი ნომერი

ხელმოწერა _________________________ თარიღი _________________________